





რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო ბაზისის კრების შედეგად

# მოსაგებარებელი კვლავაც ბეპრია

ამ ბოლო დროს ფიზკულტურულ კოლექტივებში სპორტული მუშაობის გასაუმჯობესებლად ბევრი რამ გაკეთდა. იმაზე ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების, საწარმო-დაწესებულებების, რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურულ და სპორტსმენთა წარმატებებმა. აი, რა უამბო ჩვენს კორესპონდენტს მცხეთის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ აპოლონ ბერიძემ:

— რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ გარკვეული ბიძგა მისცა მცხეთის რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებას — მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკურ ღონისძიებებში, სადაც კარგად იასპარეზეს რაიონის ნაკრებმა გუნდებმა ქართულ ჭიდაობაში, ძიულში, თავისუფალ ჭიდაობაში, ნიჩბოსნობაში და სპორტის სხვა სახეობებში. აღსანიშნავია, რომ მცხეთელმა ნიჩბოსნებმა ძველი ტრადიციისამებრ რესპუბლიკის ჩემპიონატში გუნდ-

ური I ადგილი დაიკავეს. ჩვენმა ნიჩბოსნებმა 1977 წლის სეზონში პირველად შეასრულეს ერთიანი საკავშირო საკლასიფიკაციო ნორმატივი. გადაჭარბებით შესრულდა სპორტსმენ თანრიგისათვის მოწოდების გეგმაც. 1977 წელს უნდა მოგვეზადებინა 24 პირველთა თანრიგისანი და ექვსი სპორტის ოსტატობის კანდიდატი. ფაქტურად კი აღეზარდეთ 27 პირველთა თანრიგისანი და ცხრა სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ერთი საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატ-

და ერთიც საერთაშორისო სპორტის ოსტატი. მცხეთის რაიონიდან 20 სპორტსმენი შეყვანილია საქართველოს ნაკრებ გუნდში, ორი მათგანი კი — საბჭოთა კავშირის ნაკრებში.

რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა ვალანის ექსპერიმენტული საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი (დირექტორი ი. ვასაძე, მეთოდისტი ე. გულშაიანი). აქ მოკლე დროში მოაწვეეს მარტოც ტიპის სპორტული მოედნები. მეურნეობის სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობენ რაიონულ და რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებებში.

სამწუხაროდ, განვიციდით სპორტული მოედნების ნაკლებობას. საქმიანი ღაბაბის გარდა არ გავყავინა დახურული ბაზა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა წელიწადის ყოველ დროს სპორტსმენთა მომზადება. მცხეთაში შექმნილია ოლიმპიური საყრდენი პუნქტი და სპორტსმენთა დატვირთვა (მითუმეტეს ზამთრის პერიოდში) შეუძლებელია სპორტული დარბაზის გარეშე.

სოფლად სპორტული მუშაობის უკეთ წარმართვას ისიც აბრკოლებს, რომ ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის დირექტორს არ სურს აიყვანოს ფიზკულტურის მეთოდისტი, რომელიც სათავეში ჩაუდგება ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას.

რაიონის პარტიული ხელმძღვანელობა ფართოდ გამოეხმარა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებას, დაავალა საბჭოთა მეურნეობების, ორგანიზაცი-დაწესებულებების ხელმძღვანელებს სპორტული მოედნების მოწყობა და საქმიანი სპორტული ფორმისა და ინვენტარის შეძენა. მაგრამ სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ მეურნეობათა და ორგანიზაციათა ისეთი ხელმძღვანელები, რომლებმაც ამ მხრივ არაფერი გააკეთეს.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ნაკლებ დახმარებას და კონტროლს უწყვეტ მათზე დაქვემდებარებულ რაისპორტებს ნადაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების „სპარტაკის“, „განთიადის“ და „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოები. მცხეთის

რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სამსახურადო-მეცნიერული და საზოგადოებრივი მუშაობის სპორტული სკოლა მოთავსებულია შეუფერებელ შენობაში. სპორტული ღონისძიებების დროს ხშირად გვიხდება სამუშაო ოთახების დათმობა სპორტსმენებისა და მსაჯებისთვის.

აქტივის კრების გადაწყვეტილება უფრო მეტს, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის უკეთ წარმართვას გვევალებს. მცხეთის რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით ვეცდებით ყველაფერი გავაკეთოთ, რომ გამოვასწოროთ ჩვენს მუშაობაში არსებული ნაკლებობები, უფრო მასობრივი გავხადოთ რაიონში ფიზკულტურა და სპორტი, რაც შეიძლება მეტ სპორტსმენი მოვაზადოთ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებისთვის მოსწავლეთა საკავშირო და საბჭოთა კავშირის ხალხთა მუშაობის საკავშირო სპარტაკიადში მონაწილეობის მისაღებად.

საუბარი ჩაუწერა ი. ცინცაძემ.

## კვლევა-საზოგადოებრივი

**ჩხორიწყუ**  
სოფელ ქვედა ჩხორიწყუში მოეწყო საშუალო სკოლების ბირად-გუნდური პირველობა. გუნდური ჩათვლაში უძლიერესი იყო სოფელ ხაბუშის საშუალო სკოლის კოლექტივი. ამავე სკოლის მოსწავლეებმა გაიმარჯვეს პირველ დაფებზეც. გოგონათა შორის ჩემპიონი გახდა ლ. ჯალაღონია, ქაბუტეში — ბ. ჟვანია.

ს. ჯალაღონია.

## ცხაკაია

დამთავრდა მძღოლანთა შეჯიბრება, რომელიც IV და V საფეხურის ნორმატივების ჩაბარებას ითვალისწინებდა. პროგრამაში იყო 800, 1000 და 3000 მეტრზე რბენა, 3000 მეტრზე ასპარეზობაში იმარჯვა დოსაფელმა რ. ქიქავამ. ქალთა შორის 1000 მეტრზე რბენა მოიგო მე-5 საამშენებლო ტრესტის მე-12 მოძრა-მექანი-ბეზული კოლონის წარმომადგენელმა ც. ივანიძემ.

V საფეხურის პროგრამის მიხედვით ნორმატივების ჩაბარებულთა შორის უძლიერესი გამოდგა ტეხურის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენელი გ. ყურაშვილი.

გაიმართა, აგრეთვე, ნორმატივების ჩაბარება 100 მეტრზე ცურვაში. აქ ყველას აჯობა ზანის უღანოვის სახელობის კოლმეურნეობის გუნდის წევრმა რ. შურღაიამ.

მ. გუგუნიანი.

## დავალცავი

დამთავრდა „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური ჩემპიონატი კრივიში. ასპარეზობაში 14 კოლექტივი მონაწილეობდა. ამიერკავკასიის საგზაო საბჭოს ნაკრებმა გუნდმა ყველა მეტრეჯი აჯობა და საერთო პირველობა მოიგო. ამ გუნდის წევრებმა პირად ტურნირში ხუთი საპრიზო ადგილი დაიკავეს



ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა სახევეო ბაღიდან იწყება და სწორედ ამიტომ თბილისის ლენინის რაიონის მეცხრე სახევეო ბაღში (დირექტორი თ. ზახალაძე) დიდ ყურადღებას უთმობენ პატარების ფიზიკურ მომზადებას.

სურათზე: პედაგოგები შ. კერესელიძე და ლ. ილიურიძე სახევეო ბაღის აღსაზრდელთან.

## პრივი

საზოგადოების ჩემპიონები გახდნენ ე. ოპანესიანი (48 კგ) და გ. ოპანესიანი (54 კგ), გ. შანიძემ (75 კგ) მეორე ადგილი დაიკავა, მესამე ადგილებზე გავიდნენ რ. მეგრელიშვილი (60 კგ) და გ. ბარაქაძე (67 კგ).

## დათვალმეობა-კონკურსის შედეგები

სამართმელს სპორტკომიტეტის კოლეგია ამას წინა თიხსჯელა ნორმების დაცვითა მომზადების საკითხებზე და შეაჯამა იმ კონკურსის შედეგები, რომელიც გამოცხადებული იყო ბავშვთა შორის მომუშავე მწვრთნელებს შორის. კონკურსი მიზნად ისახავდა არსებულ ნაკლებობათა გამოსწორებას და მწვრთნელთა დაინტერესების გაძლიერებას ნორმა აღზრდის საკითხებისადმი.

კონკურსში მონაწილეობდნენ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები და ოსტატთა გუნდებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფები. შედგენილი იყო სპეციალური დეპუტატი, რომელიც განსაზღვრავდა დათვალმეობა-კონკურსის პირობებს, იგი ითვალისწინებდა როგორც სასწავლო-საწვრთნელ პროცესს, ისე რეზერვების აღზრდის საქმეს ცალკეულ სკოლებში.

განვილოთ დათვალმეობა-კონკურსში მონაწილე 11 სპორტულმა სკოლამ წარმოადგინა 13 მწვრთნელი-მასწავლებელი. მარშანდელი წლის საფეხურით სეზონის შედეგებით გამარჯვებულ მთავრებს შემდეგ მწვრთნელებმა: ა. კობრაქაძემ („განთიადი“, თბილისი), ფეხბურთელების ტ. კირთაძის, დ. მანუჩაროვის, გ. ვასაძის, ჯ. ბარაქაძის, ბ. შერეინის მომზადებისთვის; ქ. სურციქიმ („სპარტაკი“, ქუთაისი), — ს. შვეციკის, ზ. სეზანაძის, ა. გორგოძის, ა. კერესელიძის მომზადებისთვის; ნ. დოლიძემ („ლოკომოტივი“, სამტრედი) — თ. ცომახას, მ. გარნოვსკის, დ. კობრაქაძის, ა. კობრაქაძის მომზადებისთვის; ლ. ვერულიძემ („დინამო“, ბათუმი) — ი. მამიანიშვილის, რ. კურცხალიძის, რ. ლაზიშვილის, ტ. მუტასის, ა. ტაყაინოვის მომზადებისთვის; კ. ნასაროვმა („მე-

ტალურა“, რუსთა) — კ. კერესელიძის, ნ. ვაშაიძის, პ. კიტეშვილის მომზადებისთვის.

ზემინამთვლილ მწვრთნელ-მასწავლებელთა საკონკურსო მასალებზე გადამოწმა-საკავშირო დათვალმეობის კონკურსში მონაწილეობისთვის.

დათვალმეობა-კონკურსმა ცხადყო, რომ ამ მეტად საპასუხისმგებლო და საჭირო ღონისძიებას წიგნითი სკოლის ხელმძღვანელობა უფრო მეტ ყურადღებას უნდა მიაქციოს. საჭიროა თბილისის განათლების განყოფილების ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლამ (დირექტორი შ. მეგრელიძე), „ავაზამ“ (დირექტორი მ. მუსხი), თბილისის „დინამოს“ ოლიმპიური რეზერვების სპორტულმა სკოლამ (დირექტორი ს. უშვერდი), გლდანის სპორტულმა სკოლამ (უფროსი მწვრთნელი ა. ვარდანაშვილის გორის „დილა“ (უფროსი მწვრთნელი თ. რუჟინიშვილი), ზუგდიდის „დინამო“ (უფროსი მწვრთნელი გ. კობახიძე), სოხუმის „დინამო“ (უფროსი მწვრთნელი ს. სპაკია), ლანჩხუთის „გურამი“ (უფროსი მწვრთნელი დ. ჭყავლაძე), რამაც საერთო საქმეს დიდად აწინა დებულება კანონია და მისი შესრულებისთვის საჭირო საშუალებები უნდა გააკეთოს. ნუთუ ზემო ჩამოთვლილ სკოლებში არ არიან მწვრთნელები, რომლებიც იმსახურებენ დათვალმეობა-კონკურსში მონაწილეობას?

ი. გომორაძე, საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს რეზერვების მომზადების განყოფილების უფროსი.

## საგარეჯოდან

### გოლიათა მწკობრში

„ლელო“ 1977 წლის 13 თებერვლის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა ჩვენს სპეციალური კორესპონდენტის ზ. ჯაფარიძის წერილი, რომელიც წარსულში ქართული ჭიდაობის საუკეთესო ტრადიციების მქონე რაიონის დღევანდელ საეკლასიო მდგომარეობაზე მოგვითხრობდა. წერილში ნათქვამი იყო, რომ საგარეჯოში დანგრევის პირზეა მისული საჭიდაო დარბაზი, რაიონის სკოლებს არა აქვთ სპორტდარბაზები, გამოთქმული იყო საგარეჯოში მოჭიდავეების, წარსულში ცნობილი ფალანგებისა და ჭიდაობის სპეციალისტების გულსტრეკილი სპორტის ამ ეროვნული სახეობის აღმავლობისთვის შესაფერისი პირობების უქონლობის გამო.

როგორც საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომიდან გვატყობინებენ, წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა, აღნიშნული საკითხი განიხილეს რაიკომის ბიუროს სხდომაზე, რის შემდეგაც ხორციელდება პრაქტიკული ღონისძიებანი — დაიწყო და მიმდინარეობს სპორტული კომპლექსის მშენებლობა, ამჟამად იგება საჭიდაო დარბაზი, გათვალისწინებულია საეკლასიო აუზის მშენებლობა და სტადიონის ტრიბუნების შექმნა.

## 1977 წლის შედეგების მიხედვით გამოვლინდნენ რესპუბლიკის ჩოგბურთის უძლიერესი ოსტატები.

უძლიერესთა ათეულში ასე გამოიყურება:

- პალაზი — 1. ა. ივანოვა (თბილისი, „განთიადი“), 2. ნ. თუხარელი (თბილისი, „დინამო“), 3. მ. ელერდაშვილი (თბილისი, „ბურევესტნიკი“), 4. ლ. ზერეკიძე, 5. გ. მანიაშვილი (ორივე — თბილისი, „დინამო“), 6-7. მ. დელადაშვილი (თბილისი, „ბურევესტნიკი“) და კ. პეტროსიანი (თბილისი, „განთიადი“), 8. მ. გომაძე, 9. ი. ფალავანიშვილი, 10. მ. მალაქიძე (სამივე — თბილისი, „დინამო“).

## უძლიერესნი...

- პაპაძე — 1. ა. მეტრეველი (თბილისი, „დინამო“), 2. თ. კაკულია (თბილისი, ასკ), 3. გ. ელერდაშვილი (თბილისი, „ბურევესტნიკი“), 4. ვ. პერეგულოვი (თბილისი, „განთიადი“), 5. ვ. ოსიპოვი (თბილისი, „დინამო“), 6. ვ. ბაქში (თბილისი, „ბურევესტნიკი“), 7. ე. პოდოსოვი, 8. გ. ზამხაიძე (ორივე — თბილისი, „განთიადი“), 9. რ. გეგორქიანი (თბილისი, „დინამო“), 10-12. თ. ასლამაზიშვილი (თბილისი, „ბურევესტნიკი“), თ. ხორუჩიანი (თბილისი, „დინამო“),

ნ. ელერდაშვილი (თბილისი, „ბურევესტნიკი“).

1977 წლის შედეგების მიხედვით გამოვლინდნენ რესპუბლიკის ბალმინტონის უძლიერესი ოსტატები.

უძლიერესთა ათეულში ასე გამოიყურება:

განათლების სამინისტრო, ი. წუკლაია (სოხუმი, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა), ა. ხლოპკოვა (სოხუმი, „სპარტაკი“), თ. მეტრეველი (თბილისი, „ბურევესტნიკი“), ვ. ქსოვრელი (თბილისი, განათლების სამინისტრო).

პაპაძე — ლ. მურადიანი, ი. კვიციანი, თ. ჭარბაძე (სამივე — თბილისი, განათლების სამინისტრო), მ. დანილოვი (თბილისი, „ბურევესტნიკი“), გ. პავლავილი (სოხუმი, „სპარტაკი“), ხ. კარაილი (თბილისი, განათლების სამინისტრო), მ. ნერესხიანი, გ. ნერესხიანი (ორივე — სოხუმი, „სპარტაკი“), გ. ბუჩხატიანი (თბილისი, განათლების სამინისტრო), ბ. პეტელაშვილი (ბათუმი, „სპარტაკი“).



# გათუმებელი ემზადებიან

## ახალი საფეხურით სავარაუდოებანი

სპორტის კომიტეტისა და „დინამოს“ აქარის საოლიფო საბჭოს ინიციატივით მოწვეული დინამოელები სავარაუდოებანი კრებულზე:

— პირველი ვარჯიში ჩავატარებ 7 იანვარს, რასაც წინ ორდღიანი სამედიცინო შემოწმება უძღვრება. შემოწმებული გვაქვს სპეციალური გეგმა, ფეხბურთელები ამჟამად წვრთნას გადიან საერთო ფიზიკურ მომზადებაში, ვარჯიშობენ „დინამოს“ სპორტბაზაში, „ვანთიანის“ საცურაო აუზში, შათუშის ზღვისპირა პარკის ხეივანში, სამედიცინო პარკშია ჩართულია და

მძლევსონობა, ძალოსნობა, ტანვარჯიში, აკრობატიკა და სპორტული თამაშები.

ბათუმის „დინამოდან“ სხვადასხვა მიზეზით წავიდა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი. მეკარე გ. იმნაძე დაუბრუნდა ლანჩხუთის „გურიას“, თ. ესებუა გადავიდა ოდესის „ჩერნომორეცში“, წავიდნენ თ. ოსაძე და გ. ჯანაშვილი. ახალ სეზონში ბეგრის რამაა დაძაბული იმავზე, თუ როგორ ახალი ჩენს თავს ახალგაზრდობა, რომელთა შორის არიან ფეხბურთელები მოსამზადებელი ჯგუფებიდან და

აქარის რაიონებიდან. თებერვალსა და მარტში დაგეგმილი გვაქვს რამდენიმე საკონტროლო მატჩი, სპარინგ-პარტიზონებზე მოვიხვედრეთ „ა“ კლასის პირველ და უმაღლეს გუნდებს. შარშანდელ სეზონში ბათუმის „დინამომ“ დაიკავა მე-9 ადგილი. წლეულს ყველაფერი უნდა გაგვაკეთოთ ამ შედეგის გაუმჯობესებისთვის. გუნდის უფროსად დანიშნა გ. ჭიჭივა, რომელმაც მოსკოვში ახლახან დაამთავრა მწვრთნელთა ორწლიანი უმაღლესი სკოლა, მეორე მწვრთნელია მ. ჩხაიძე.

კრებულზე სიტყვით გამოვიდა გუნდის კაპიტანი ა. ჯორჯიანი. მელაქ ილაპარაკა მომავალი სეზონის სიძნელეებზე. ჭიჭივამ თანამშრომელი ენერგიით თამაშში, რათა გაცილებით უკეთეს შედეგით დაამთავრონ ახალი სეზონით სეზონი.

გუნდის კომარგმა თ. ცინარიძემ მხარი დაუჭირა მეგობარს და სიტყვა მისცა დამსწრეებს, რომ კომპლექტი ყველაფერს გააკეთებს წარმატების მისაღწევად.

საინტერესო იყო ბათუმის დინამოელთა შეხვედრა თბილისის „დინამოს“ ვეტერანებთან, სადაც გაიხსენა სასარგებლო და საქმიანი საუბარი. სიტყვებით გამოვიდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები მ. პაიჭავაძე, გ. ჭიჭივა, მ. ბერძენიშვილი და სხვები.

რ. შარვაშიძე.

# ოკეანისგაღმა ტურნის უმღაღ

ახლახან ოკეანისგაღმა ჩატარებული ტურნის დროს სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა 5-იდან 4 მატჩში გაიმარჯვა. მისი უნივერსიტეტის უძლიერეს გუნდებთან. ცნობილია, რომ აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების მთავარ ძალას მათი მოთამაშეები წარმოადგენენ. ისინი „ასპარდოებენ“ ბოლოდროინდელ კალათბურთს.

სავარაუდოდ ჩვენ კმაყოფილი ვართ მოთამაშეთა უმრავლესობის გამოცხადებით. უძლიერესი მეტოქეების მოედანზე ძნელ მატჩებში მათი საბრძოლო თვისებების შემოწმება ახალი არ არის.

როგორ ითამაშეს ჩვენმა ბიჭებმა ამერიკაში? — ცენტრის მოთამაშეები ტაჩანჯო და ჟივილი მოწოდების სიძლიერე იღვენ. ისინი კარგად იბრძოდნენ ფარჯევზე, შეასრულეს საქმარ ბეგრის შედეგანი ტყორცა. მაგრამ არც ერთს და არც მეორეს არა აქვს ტაბილურობა, რაც ოსტატობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია.

ა. ბელოსტენი (214 სმ) თუ თავდაუზოგავად ივარჯიშებს, გახდება ქვეყანაში ერთ-ერთი უძლიერესი კალათბურთელი, თუ არა და დარჩება უბრალოდ „იმედის მომცემი“ სპორტსმენად. დერეჟენმა ცოტა ითამაშა. მას ფიზიკურად ჯერ არ აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს ამერიკელთა ძლიერ ცენტრის მოთამაშეებს. დამაჯერებლად, გაბედულად და შედეგიანად გამოვიდა თავდასხმის ს. იოვანიშვილი. მაგრამ იგი სადღეისოდ ვერ ფლობს კარგ გადაცემას, ხარვეზები აქვს ბურთის ტარების ტექნიკაში.

კმაყოფილი ვართ ს. ერიონის თამაშითაც. კანზასის მატჩის გარდა, იგი ყველაზე საქმარ ცოდნითა და სასარგებლოდ მოქმედებდა, მოუმატა შედეგსაც. მეტ დაჯერებულობას მიაღწია ა. პობოკოვა. ეს მიცველი (198) მიმართულია მეტევისკენ. მას საინტერესო გადაცემები აქვს, მაგრამ კვლავინდებურად არ ვაჩანია საქმარ სარგებლობა. შედეგიანად ჩატარა ტურნე ა. სალნიკოვმა, ხოლო ა. ლინკოვიჩის დანიშნა და „გერ მიავანა“ თავის თამაშს. უწინდელთან შედარებით უკეთ ითამაშა ა. მიშკინმა. შესანიშნავად ვაიხარა 20 წლის ა. ლობათოვი, კარგად ითამაშა ა. ტარაქანოვმა თავის პირველ ტურნეში, მაგრამ მას ამჟამად არ ყოფნიდა ძალა და დამაჯერებლობა.

ამჟამად დღის წესრიგშია მზადება მანლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელშიც დასახელებული კალათბურთელების გარდა დასაბრუნებელია მოთამაშეები მებრძოლები — გ. მილსკერდოვი, მ. ქორქია და ს. ბელოვი.

ა. გომელსკი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქმარის სპორტული მიმომხილველი.

ყველა შეხვედრაში ამერიკელებმა აჩვენეს ათლტურული მომზადება, ძალის, სისწრაფისა და მონერბულობის მნიშვნელობა, მაღალ ფსიქოლოგიური მომზადება, რასაც უმთავრეს ყურადღებას აქცევენ აშშ-ში კალათბურთელთა მომზადების დროს. ამ მხრივ ამერიკელი კალათბურთელების უპირატესობა შესანიშნავია დაცვაში, მსაკუთრებში დაცვის „კერძო“ პოზიციებში, პრესინგში.

ახალგაზრდა მოთამაშეებისგან მდგარი საბჭოთა გუნდი წინა ტურნისთან შედარებით უფრო დაამჯერებლად გამოვიდა. ათლტური მორჩენის ლიკვიდაციისთვის აქვს მერ აღებული კურსი უმჯობესად სწორია. ამას გარდა, ბიჭები აჩვენებენ ამერიკულ წესებს და ამერიკულ მსაჯებს.

ტაქტიკის თავსაზრისით ყურადღებას იმყოფის ამერიკელთა შედეგისა და დაცვის მეთოდების შედარსება. საინტერესოა, რომ მათ უმჯობესად შეხვედრებშია და წუთის სწრაფების დროს მწვრთნელმა მაკეტებზე ხაზგასკობიანი ცემების სქემას, რომელსაც მოთამაშეები იქვე ახორციელებენ. საბჭოთა კალათბურთელების ტაქტიკითა და თეორიული მომზადება უფრო დაბალ დონეზე დგას. სტრატეგია, მაკეტებმა, მეტოქეთა თამაშის მოდელირებამ ჯერ კიდევ ვერ მოიპოვა ფესვი საქმარ გუნდების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ამერიკელი კალათბურთელები ათლტურ სერიალურობით ეპყრობიან ინდივიდუალურ ათლტურ ტექნიკურ მომზადებას. აშშ-ში გამგზავრების წინ შემდგომ გავრითობულ თათბირზე მოწოდებულია ოლიმპიურ გუნდში შემავალ კალათბურთელთა ყველა მეთოდული, აგრეთვე, სსრ კავშირის კალათბურთის ფედერაციისა და საკავშირო სპორტკომიტეტის სპორტული თამაშების სამმართველოს ხელმძღვანელობა. აქ დამატებით ნაკრები გუნდის მზადების მიზნით და განიხილეს თითოეული ოლიმპიურის მიერ ინდივიდუალური გეგმის შესრულება.

## კვლეობები

შავალღისი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საქმარო ემპიონატის მეორე ეტაპზე კიდევ ორი მატჩი გაიმართა. ჩემპიონატის ლიდერებმა — მოსკოველმა არმიელმა მეთორმეტე გამარჯვება მოიპოვეს, როცა მოსკოველი დამარცხეს კიევის „სტრომელი“ — 100:84 (44:42). მატჩის მთავარი წუთებზე სტუმრები დაპირისპირდნენ და სხვაობამ რვა ქულა შეადგინა, მაგრამ მატჩის ბედი

თბილისის სპორტულ გაზეთში კალათბურთის, გ. ი. ლენინის სახელობის სპორტული დარბაზი. I ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდების საქმარო

მნიშვნელოვანწილად გადაწყდა მაშინ, როცა მეორე ტაიმის შუაში 5 პერსონალური შენიშვნის გამო მოედანი დატოვა კიეველთა ყველაზე შედეგიანმა მოთამაშემ ტკაჩენკომ (22 ქულა). გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინა მილსკერდოვმა — 24 ქულა.

ამ ეტაპზე უკვე მეორედ დამარცხდნენ ლენინგრადის სპარტაკელები, ამჯერად, ტალინის „კალევიანა“. მატჩის ბედნიერ დამარცხებულთაგან თავი გამოიჩინა მილსკერდოვმა — 24 ქულა.

პირველობა. 4-3 თებერვლი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — „დინამო“ (ვოლგოგრადი). დასაწყისი 16 ს.



ჩვენს გაზეთის მკითხველები — კარგით რაიონული სავადამყოფის მუშაკები გვთხოვენ მოუთხროთ საქმარ კავშირის, ვგრობისა და მოსოფლიოს მრავალზნის ჩემპიონის ლიუდმილა შარიაშვილს სპორტული ბიოგრაფიის შესახებ.

## „ლელო“ მკითხველთა თხოვნით

ტანამშრომელი ქალიშვილი მსუბუქად მიამბობს, ზურგზე სპორტული ჩანთა გადაუკიდია, თამაშად, ამჟამად, გამოსრთილი ნაბიჯით მიდის ამბოგან, ადამიანის სახითი მისი სიარულითაც გამოიხატება, ყოველ შემთხვევაში ლიუდმილა ტურიშვილს სასიამოვნოდ შეეძლება მისი მოძრაობით განსაზღვროს.

დას, ეს გრაციოზული ქალიშვილი ლიუდმილა ტურიშვილს, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის, ვგრობის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მეოთხე კლასში იყო, როდესაც ფიჭულტურის გაკვეთილზე უცნობი კაცი დაეწყო, რვეულში რაღაც ჩაინიშნა და მერე რამდენიმე გოგონას, მათ შორის ტურიშვილსაც, უჩინა სერიოზულად მოვიდათ სპორტული ტანვარჯიშისთვის ხელი. ეს მოხდა 1963 წელს, ის უცნობი კაცი კი შემდგომში ლიუდმილა ტურიშვილს მწვრთნელი, გლადიმერ როსტროვიკი გახლდათ.

წელი წელს მისდევდა, ნელ-ნელა იხვეწებოდა ილიეთში. იყო წარმატებები, მარცხის სიმწარეც — განსაკუთრებით პირველ წლებში. ლუდა ტიროდა ხოლმე, როცა როსტროვიკი უწყობოდა. მერე გამოუტყდა ამხანაგებს: სირცხვილისგან გტერიოდით. ტიროდა, მაგრამ უკან არ იხვედა, ყოველ ილიეთს, მოძრაობას ასჯერ, ათასჯერ იმეორებდა და ახალზე მხოლოდ მას შემდეგ გადადიოდა, როდესაც ისიც და მწვრთნელიც დარწმუნდებოდნენ, რომ ძველი საბოლოოდ დაძლეული, შესწავლილი იყო.

1967 წლის დეკემბერში როსტროვიკი საქმარ კავშირის თასის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად წაიყვანა თხუთმეტი წლის ტურიშვილს. შეჯიბრება კუბიშვილი ტარდებოდა და მასში მხოლოდ ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. ყველას ყურადღება მიიპყრო თეთრბაფთიანმა, დიდთვალვამ გოგონამ, რომელმაც მრავალჯერ და ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა და თასის მფლობელიც გახდა. მერე ლუბლიანა, მინსკი, მიუნხენი, ლონდონი, ვარნა... ადრინა ვარჯიშები დილით, სპარტანული რეჟიმით ლიუ-

ბოლოს ბურდა დამეწია, მერე მე დავვიცი, ბურდამ კი კარგად დაამთავრა ჩემპიონატი.

— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად? — ნებისყოფა... წლების განმავლობაში გამოვიმუშავე მტკიცე ნებისყოფა და წარუმატებლობის შემთხვევაში თავს ვირწმუნებ ხოლმე, რომ საჭიროა მეტი შრომა, ინტენსიური წვრთნა, ყოველი მოძრაობის დახვეწა.

— მომავალში რას აპირებთ? — მწვრთნელობას. — რატომ ან რისთვის აფასებთ როსტროვიკის? — თუნდაც იმისთვის, რომ შეუძლია გაიძულოს ივარჯიშო, ივარჯიშო თავდადებულად. ეს რომ არა, ჩემგან არაფერი გამოვიდოდა, პირველი მეცადინეობის შემდეგ გავიქცეოდი.

— ვის ნახვას ნატრობთ ხოლმე გამარჯვების შემდეგ? — დედის, მამისა და დღის მათ უთქმელად ესმით ჩემი... ... მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები განუყოფელი იყო თავისი მასშტაბებით, მონაწილეთა რაოდენობით, ოსტატობით. ტურიშვილა და ბურდა ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ ტანვარჯიშის ცალკეულ სახეობებში, მაგრამ წინ ჰქონდათ ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონობისთვის ასპარეზობა. აქ ტურიშვილს მოლოდინს გადაატარა: იგი მსაჯებისა და მსყრდნობის წინაშე სრულიად ახალი, ურთულესი პროგრამით წარსდგა, რომელიც მსოფლიოში ჯერ არავის შეესრულებინა.

მსათვის კოლეგიამ ტურიშვილს ოლიმპიური თამაშების აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მიანიჭა. როდესაც ჰკითხეს, თუ რით იყო 1974 წელი მისთვის ღირსშესანიშნავი, ლიუდმილამ მისაგებობითა ერთად დაასახელა ისიც, რომ ამ წელს მან დაამთავრა დონის-როსტოვის მედაგოგიური ინსტიტუტი (იგი მწვრთნელთან და შობობლეთან ერთად გრონოვთან როსტოვში გადასახლდა), აპირებს ასპარეზობაში სწავლის გაგრძელებას, დაამუშავებს თემას „სპორტის ფსიქოლოგია“.

— ზოგჯერ ისე ვიღვლები, რომ სულ უფრო ხშირად მიჩნდება სურვილი თავი დაგვანებო აქტიურ სპორტში... მაგრამ წუთიერი სისუსტე ქრება და ვგრძობ, რომ ბედნიერი ვარ მხოლოდ მაშინ, როდესაც ინტენსიურად ვვარჯიშობ და ვეშაბლიან ვვარჯიშობისთვის, მერე ვასპარეზობ... ასეთი მქვეყნარ ცხოვრების გარეშე სიცოცხლე ვერც კი წარმოვიდგინებ.

... მას შემდეგ ბეგრმა წყალმა ჩაიარა. სპორტის დამსახურებული ოსტატი ლიუდმილა ტურიშვილა დიდ სპორტულ გამოთხოვას და ახლა მწვრთნელად მუშაობს. ასპარეზობა დაამთავრა და დისციპლინის დასაცავად ემსახურება. შარშან ცოლად გაჰყვა ცნობილ საქმარ სპარინგარს. მიუნხენის ოლიმპიადის ორგზის გამარჯვებულს, სსრ კავშირის რეკორდსმენს, სპორტის დამსახურებული ოსტატს ვალერი ბორსოვს.

ახლა უკვე ორნი მიდიან, ორივეს სპორტული ჩანთები გადაუკიდიათ ხელითადაც. მისი მხიარულად მიამბობენ მსოფლიოს, ვგრობის, სსრ კავშირისა და ოლიმპიური თამაშების მრავალზნის ჩემპიონები, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალრები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ლიუდმილა ტურიშვილა და ვალერი ბორსოვი. ბედნიერი წყვილი შოფიობილი ნაბიჯით უახლოვდება სპორტის სასახლას, სადაც ნორჩი ახალგაზრდები ელოდებიან გაიკლის დრო და ახლა ისინი გააარბებულნი თავიანთი სახილოვანი მასწავლებლის დიდ გზას, წინ ხომ მრავალი ასპარეზობა მოილოთ.

რ. შარვაშიძე. სურათზე: ლ. ტურიშვილა დევიან ვარჯიშის დროს.



# ყველაზე მასობრივი

**საპარტილოს** ზამთრის IV სპორტაკადემიის მზადების ნიშნით ხაიარა ბორჯომის რაიონის მოთბილამურეთა პირველობამ, რომელიც ამ დღეებში ბაკურიანში გაიმართა. ასპარეზობაში მონაწილეობდა წარმოება-დაწესებულებებისა და სკოლების 26 გუნდის 240 სპორტსმენი. სათბილამურო სპორტის მოყვარულთა ასეთი მრავალრიცხოვანი შეჯიბრება ადრე ჩვენთან არ გამართულა, მაგრამ მონაწილეთა რაოდენობა უფრო მეტი იქნებოდა, რომ სარბიელზე ყველა ორგანიზაციას გამოეყვანა თავისი კოლექტივები.

სამწუხაროდ, ბორჯომის რაიონის ბუნებრივი პირობებს აღვილობრივი ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ იყენებენ ხეივანად, რის გამოც წარსულის კარგი ტრადიციები თანდათან გაქრა და ახლა მარტო ბორჯომის რაიონს კი არა, მთელ რესპუბლიკასაც მხოლოდ ბაკურიანელი ახალგაზრდების იმედი აქვს.

რაიონის პირველობა 2 ჯგუფად ჩატარდა. პრიორაში იყო რბოლები.

წარმოება-დაწესებულებებს შორის საერთო გუნდური პირველობა ბაკურიანის სატყეო მეურნეობის კოლექტივის ხედა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ბაკურიანის ნადირშენის მეურნეობისა და ბორჯომის სატყეო ტექნიკუმის მოთბილამურეები.

გაყვები 5 კილომეტრზე დარბოდნენ, რაიონის ჩემპიონი გახდა ლ. სოლოიანი, II ადგილზეა რ. მაყევი (ორივე — ნადირშენის მეურნეობა), III ადგილი ერგო ს. სოლოიანს (ბაკურიანის სატყეო მეურნეობა).

3 კილომეტრზე მორბენალ ქალ

თა შორის იმარჯვა საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ გუნდის წევრმა თ. ხაჩიძემ, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მისი თანაგუნდელი მ. თურმანიშვილი და სამგზავრო ავტოსაწარმოო კოლექტივის წევრი მ. გოგოლაძე.

მოსწავლე ვაჟთა შორის სამივე საპრიზო ადგილი ბაკურიანის სკოლის მოსწავლეებმა რ. ხედგენიძემ, ე. ავთოვამ და ვ. მკერტიანმა დაიკავეს. გოგონათა შორის ბაკურიანელებმა კ. ყორაშვილმა და ა. ჯიკაევამ I-II ადგილი გაიყვეს. ციხისკვრელი მოსწავლე მ. ამბარცუქოვა III ადგილზე გავიდა.

შედეგ რაიონის ნაკრები, რომელიც რესპუბლიკურ სპორტაკადემიაში იასპარეზებს.

**ნ. გომბაძე,**  
ბორჯომის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

დღევანდელი ფეხბურთის სამყაროში არ ეგულებათ პლატინის და არი ფეხბურთელი. ამ ერთობლივ დასკვნას ახლა მრავალი ევროპელი სპეციალისტი იზიარებს.

და იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი, რომელმაც დიდად განამტკიცა პლატინის ავტორიტეტი. საფრანგეთის ნაკრები ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიდა. აქ ძირითადი როლი ითამაშა ფრანგების უშუალო შეხვედრებმა მთავარ მტრებებთან — ბულგარელებთან. ამ ორ მატჩში (2:2 სოფიაში და 3:1 პარიზში) პლატინი მართლაც უძლიერესი იყო.

ერთი სიტყვით, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საფრანგეთის ისევ ჰყავს გამორჩენილი ოსტატი. ამიტომაც არის, რომ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი მ. ილაგო ოპტიმისტურად განეწყო მსოფლიო ჩემპიონატის წინ. რასაკვირველია, მსოფლიო ჩემპიონთა ოქროს მედლების მაძიებლებს შორის ფრანგები არაიენ ასახელებს, მაგრამ ამ გუნდმა ცუდად არ უნდა ითამაშოს, თუნდაც იმიტომ, რომ მას ჰყავს მიშელ პლატინი.

**ბ. თორაძე.**



**მსაბჭოელი** ტანმწვრთნელი, კიევილი ირინა დერიუგინა უკანასკნელი წლების მანძილზე არც ერთხელ არ დამარცხებულა. შვეიცარიის მსოფლიო პირველობაზე მან ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს მსოფლიო ჩემპიონის წოდებაც მიუმატა.



**სსრ კავშირის** ევროპის, მსოფლიოსა და მონრეალის ოლიმპიურ თამაშების ჩემპიონის ვ. ალექსეიევის ანგარიშზე 80 მსოფლიო რეკორდი. რიანელმა გოლიათმა ბოლო წარმატებას დიდი ოქტომბრის მე-80 წლისთავისათვის მიძღვნილ სპორტულ დღესასწაულზე მიადწია, სადაც მან 256 კგ აკრა...  
სურათზე ვ. ალექსეიევი (მარცხნივ) და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მიმწეწონიანი გ. ბონკი (ჯვრ).

## კ ლ ა ტ ი ნ ი - № 1

**როდესაც** ბარნილიაში წლის № 1 სპორტსმენად ფეხბურთელს ასახელებენ, ეს გასაგებია. მაგრამ საფრანგეთისთვის, რომლის ფეხბურთი კარგა ხანია არ სარგებლობს დიდი სერთიფიკატის ავტორიტეტით, ასეთი არჩევანი უფროდ საბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

რამ გამოიწვია ასეთი, მართლაც საგანგებო მოვლენა, რომელიც ფეხბურთელი ელრსა ესოდენ დიდ პატივს? ეს ახალი ვარსკვლავი გახლავთ მიშელ პლატინი.

მ. პლატინი 23 წლისაა. იგი ფრანგული ფეხბურთის „ახალი ტალღის“ წარმომადგენელია. საფრანგეთის ფეხბურთის წლებში მანძილზე ევროპულის თუ ატლანტიკის არა, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ უფერული წარმომადგენელი იყო. უკანასკნელ დიდ წარმატებას ფრანგებმა მიადწიეს... 1958 წელს, როცა მსოფლიო ჩემპიონატზე შეეცაში მესამე ადგილს დაუფლნენ. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ფრანგებმა უკანასკნელად ითამაშეს 1966 წელს. მაგრამ ასეთი მდგომარეობა არ შეიძლებოდა უსასრულოდ გაგრძელებულიყო, მით უმეტეს, რომ

ფრანგებს ძალიან უყვართ ფეხბურთი, ჰყავთ საკმაოდ ძლიერი კლუბები და გამოცდილი მწვრთნელები. ყოველივე ამის მიუხედავად, მინც საჭირო გახდა „ჩაირევა გარედან“. საფრანგეთის ნაკრებს სათავეში ჩაუდგა განთქმული რუმინელი სპეციალისტი, ს. კოვაჩი, რომელმაც ფეხბურთელთა ახალი თაობა დააწინაურა. აი, ამ თაობის ყველაზე უფრო ნიჭიერი წარმომადგენელი გახლავთ „ნანსი-ლორენის“ ნახევარმცველი მიშელ პლატინი.

პლატინის ახლა, შეიძლება ითქვას, ფეხბურთში ყველაფერი გამოსდის და დიდი დიპლომატიის მოთაბეჭედა. მისი გადაცემები მუდამ ამწვავებს თამაშს, პლატინი მცველებსაც ეხმარება, მაგრამ ყველაზე უფრო ეფექტური მაინც შეტევის დროს გახლავთ. მეკარეები უფროსიან მის მოულოდნელ დარტყმებს შორი მანძილიდან.

1977 წლის ზაფხულში ბევრმა ევროპულმა ნაკრებმა იმოგზაურა „სამხრეთ ამერიკაში, იმოგზაურებს ფრანგებმა. რა თქმა უნდა, ძნელია გააკვიროვო სამხრეთ ამერიკის მიმომხილველები, მაგრამ ექსპერტებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ

## ფეხბურთი

### სად ჩატარდება ფინალები?

**დაამატებ** ქალაქებისა და ქვეყნების სია, სადაც უნდა ჩატარდეს ევროპის დიდი საფეხბურთო ტურნირების ფინალური მატჩები.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალი შედგება 3 მაისს პარიზში, ჩემპიონთა თასისა — 10 მაისს ლონდონში, ხოლო უეფა-ს თასის ფინალს გუშდები საკუთარ და მოწინააღმდეგის მიწებზე ითამაშებენ 26 აპრილს და 9 მაისს.

ამას გარდა, დადგინდა, რომ უეფა-ს ქაბუთთა ტურნირების ფინალში 1978 წელს ჩატარდება პოლონეთში, 1979 წელს — ავსტრიაში და 1980 წელს — გდრ-ში.

### იტალია

პირველი წრის დამთავრების შემდეგ I და II ადგილებზე ისევ ძველ მტრებებს „იუვენტუსსა“ (ჩემპიონი) და „ტორინოს“ (ვიცე-ჩემპიონი) ვხვდებით.

მე-15 ტურში „ტორინოს“ საკუთარ მიწებზე ანგარიში 2:1 სძლია „მირონას“, ხოლო „იუვენტუსმა“ ფრედ ითამაშა ვიჩენცაში „ლანეროსისთან“ — 0:0.

ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: „ბოლონია“ — „ლაციო“ (რომი) 2:1, „ფლოჯა“ — „ინტერი“ (მილანი) 0:2, „ჯენოვა“ — „ფიორენტინა“ 2:1, „მილანი“ — „ნაპოლი“ 0:1, „პესკარა“ — „პერუჯა“ 1:1, „რომა“ — „ატალანტა“ (ბერგამო) 3:1.

15 ტურის შემდეგ „იუვენტუსს“ 22 ქულა აქვს, „ტორინოს“ — 20, „ლანეროსისს“ — 19, „პერუჯას“, „მილანსა“ და „ინტერს“ — 18-18, „ნაპოლის“ — 17.

## ჩემპიონატი, მსოფლიო, სპორტი

### ინგლისი

26-ე ტურის შედეგები ასეთია: „ჩელსი“ (ლონდონი) — „იფსვიჩ თაუნი“ 5:3, „ლიდს იუნაიტედი“ — „იუვენტრი სიტი“ 2:0, „ლესტერ სიტი“ — „ქუინს პარკ რეინერსი“ (ლონდონი) 0:0, „ლივერპული“ — „ბირმინგემ სიტი“ 2:3, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „დერბი ქაუნთი“ 4:0, „მიდლსბრო“ — „კვესტ ნორვიჩი ალბიონი“ 1:0, „ნორვიჩ სიტი“ — „მანჩესტერ სიტი“ 1:3, „ნოტიჰემ ფორესტ“ — „არსენალი“ (ლონდონი) 2:0, „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ (ლონდონი) — „ნიუსკასლ იუნაიტედი“ 1:0, „ველფრემპტონ უინდერსისი“ — „ივერტონი“ (ლივერპული) 3:1.

26 ტურის შემდეგ „ნოტიჰემ ფორესტს“ 40 ქულა აქვს, 34-34 ქულა მთავროებს „მანჩესტერ სიტიმ“, „მეფრტონმა“ და „ლივერპულმა“, 33 — „არსენალმა“.

### ავსტრია

21-ე ტურში ვენის „პრატერ-შტადიონზე“ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები „აუსტრია“ და „ვიენა“. ანგარიში 3:1 გაიმარჯვა „აუსტრია“, რომელმაც 33 ქულა მოგროვა. ვენაში გამართა კიდევ ერთი მატჩი: ადგილობრივმა „ადმირა-ვაკერმა“ ანგარიშით 2:0 მოუგო მეორე ადგილზე მყოფ „სვაროვსკი-ვაკერს“ (ინსბრუკი). „სვაროვსკი-ვაკერს“ ახლა 23 ქულა და 1 გამოტოვებული მატჩი აქვს. 22 ქულა მოაგროვა გრაცის „შტურმმა“, 20 ქულა — ვენის „რაიონმა“.

თუმცა ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ კიდევ შორსაა, პირველი ადგილის ბედი, ეტყობა, პრაქტიკულად გადაწყვეტილია.

### საზრანგეთი

ნათამაშებია 25 ტური. 33-33 ქულით I-II ადგილს იყოფენ „მონაკო“ და „ნიცა“. 32 ქულა აქვს „ოლიმპიკს“ (მარსელი), 31 ქულა და ერთი გამოტოვებული მატჩი — „ნანტს“, 30 ქულა და 1 გამოტოვებული მატჩი — „რენინგს“ (სტრასბურგი).

### პორტუგალია


მე-14 ტურში „ბენფიკამ“ [ლისაბონი] გასვლითი მატჩი მოიგო „ფეირენსესთან“ — 1:0, 24 ქულა მოგროვა და 2 ქულით უსწევს მეორე ადგილზე მყოფ „პორტოს“, „პორტო“-ს, თავის მხრივ, ანგარიშით 4:2 სძლია „აკადემიკას“ (კოიმბრა). 19-19 ქულა მოაგროვებს ლისაბონის „სპორტინგმა“ და ამავე ქალაქის „ბელენენსემმა“, 18-18 — „ბრაგამ“ და გიმარაშის „ვიტორიამ“.

### პოლანდია

21-ე ტურში ლიდერი „ვიდოვოვენი“ თამაშობდა ქ. კერკარდში „რბალსთან“. ფრე — 0:0. „ვიდოვოვენი“ 37 ქულა აქვს და მტკიცედ ლიდრობს. მეორე ადგილზე მყოფ „ტუმსკი-ტს“ მნიშვნელოვანი მატჩი ჰქონდა რტტრდამში „ფეიენოროლთან“. სტუმრებმა გაიმარჯვეს 2:0 და 30 ქულა მოაგროვეს. 28-28 ქულა აქვთ „ავალკმარ 67“-ს და ამსტერდამის „აიაქსს“, 26 ქულა — როტერდამის „სპარტას“. ეტყობა, ამ 4 გუნდს შორის გაჩაღდება ბრძოლა მეორე და მესამე საპრიზო ადგილებისთვის, ვინაიდან „ვიდოვოვენი“, უნდა ვიფიქროთ, ვეღარავინ დაუწევა.

### საბერძნეთი

დასრულდა გათამაშების პირველი წრე. 26 ქულით წინ არის ათენის აეკი. 23-23 ქულა აქვთ „პანათინაიკოსს“ (ათენი) და „ოლიმპიკოსს“ (პირუსი), 20-20 ქულა — ბაოკ-სა (სალონიკი) და „ეთნიკოსს“ (პირესონი).



## მსობრული ფანტომი

შსიტყვოდ.

**ნ. ქედებსაშვილის** ნახატი.

**გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: მსობრული ფანტომი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დღეგუნებისთვის — თბილისი, „ლელო“.**  
ტელეფონები: რედაქტორი — 09-50-14 08-07-50; რედაქტორის მოადგილე — 09-50-47; მსობრული ფანტომის მდივანი — 08-07-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 09-81-71, 08-07-50; მახობრე-ფაქტურული მუშაობის — 08-07-55; სპორტის პროპაგანდას — 08-07-57; მოსწავლე და ხოვლის ახალგაზრდობის — 08-07-58; ქალაქის — 08-07-26; სამხატვრო — 08-07-52; წიგნების — 08-07-54; კორექტორები — 08-07-49; გამოშვების — 08-08-81; ფოტოლაბორატორია — 08-07-58; შემწვანები — 08-07-51.